GÜRTİAD

ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია
GÜRCÜ VE TÜRK İŞADAMLARI DERNEĞİ

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2019 / 7 – 14 Haziran / ივნისი

Nüfus / მოსახლეობა	Kişi Başı GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon / ინფლაცია
3 723.5	4 345.5	4.7 %	12.7 %	4.7 %

Gürcistan Başbakanı'nın ABD Ziyareti
საქართველოს პრემიერ მინისტრი აშშ-ში ოფიციალური ვიზიტი იმყოფებოდა

Gürcistan Başbakan Sn. Mamuka Bakhtadze, ABD'nin başkenti Washington'a resmi ziyarette bulundu. Ziyaret esnasında Sn. Başbakan ABD Devlet Sekreteri Sn. Mike Pompeo ve ABD Ticaret Sekreteri Sn. Wilbur Ross ile görüşmüştür. Görüşme sonrası yapılan basın toplantısında Başbakan Devlet Sekreteri ile görüşülmüş konular arasında Gürcistan'ın NATO'ya entegrasyonu, Rusya tarafından devam edilen işgal, iki ülke arasındaki askeri ve enerji işbirliği ve Gürcistan'ın bölgenin transit ve ekonomik merkezine dönüşmesini belirtmiştir adlandırmıştır. Görüşmelerden sonra ikili ticaret ilişkilerini geliştirmek için işbirliği anlaşması imzalanmıştır.

საქართველოს პრემიერ მინისტრი მამუკა ბახტაძე ოფიციალური ვიზიტით ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქ ვაშინგტონში იმყოფებოდა. ვიზიტის ფარგლებში მან შეხვედრა გამართა აშშ-ს სახელმწიფო მდივან მაიკლ პომპეოსა და კომერციულ მდივან ვილბურ როსთან. მამუკა ბახტაძის განცხადებით შეხვედრისას საუბარი შეეხო საქართველოს ნატოში ინტეგრაციას, რუსეთის მხრიდან მიმდინარე ოკუპაციის საკითხს, ორ ქვეყანას შორის სამხედრო და ენერგეტიკულ თანამშრომლობას და ასევე საქართველოს ქცევას რეგიონის სატრანზიტო და ეკონომიკურ ცენტრად. შეხვედრების შემდეგ ხელი მოეწერა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების მიზნით.

Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı'nın Raporu
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოხსენება

Gürcistan Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Sn. Natia Turnava Gürcistan Parlamentosu Sektörel Ekonomik Politika Komite toplantısında rapor sunumu yaptı. Bakan, Komite nezdinde Bakanlığın vizyonunu, planlanmış ve güncel programları sunmuştur.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ნათია თურნავა მოხსენებით წარსდგა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე. სიტყვით გამოსვლისას მან კომიტეტის წინაშე წარადგინა სამინისტროს ხედვა, დაგეგმილი და მიმდინარე პროგრამები.

Sözlerine göre, Bakanlık iki ana öncelik belirlemiştir. Birincisi – istikrarlı ekonomik büyüme koşullarında yoksulluğun azaltılması, ikincisi - Bakanlığın daha koordine edilmiş ve daha etkili bir yatırım politikasının oluşturulması. Yatırım politikası hakkında konuşurken Sn. Bakan yatırımcılara yatırım teklifler sadece sektörel bazda değil, bölgesel bağlamda hazırlanacak bildirim yapmıştır.

მისი განცხადებით სამინისტროს განსაზღვრული აქვს ორი ძირითადი პრიორიტეტი. პირველი ეს არის სიღარიბის დაძლევა, რომელიც უნდა მოხდეს სტაბილური ეკონომიკური ზრდის პირობებში და მეორე გახლავთ სამინისტროს უფრო მეტად კოორდინირებული და ეფექტიანი საინვესტიციო პოლიტიკა. საინვესტიციო პოლიტიკაზე საუბრისას მინისტრმა დააანონსა ინვესტორებისთვის არა მხოლოდ დარგობრივი, არამედ რეგიონალურ ჭრილში მომზადებული საინვესტიციო პროექტების შეთავაზება.

Bakan aynı zaman Gürcistan'ın ekonomi büyümesi hakkında bahsetmiştir. Söylediğine göre Gürcistan, bölgedeki ülkeler arasında en dinamik eğilimi ile göze çarpmaktadır. Uluslararası Finansal Kurumlar tarafından yapılan değerlendirilme ile önümüzdeki 10 yılın içerisinde, ülkenin büyüme oranı yüzde 5'ni aşacaktır.

მინისტრმა ასევე ისაუბრა საქართველოს ეკონომიკის ზრდაზე, რომელიც რეგიონის ქვეყნებთან შედარებით ყველაზე დინამიური ტენდენციით გამოირჩევა. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შეფასებებით, უახლოეს 10 წლიან პერსპექტივაში, ზრდის მაჩვენებელი 5 პროცენტს გადააჭარბებს.

Diğer alanlar ve projelerden bahsederken bakan Anaklia derin liman konusuna özel vurgu yapmıştır. Söylediği gibi, Anaklia Derin Deniz Limanı, ülke için bir limandan daha fazlasıdır ve stratejik önemi taşıyan projedir. Bu yaklaşım Hükümet tarafından yürütülen işlerle kendini göstermektedir. 100 milyon dolarlık kredi, 300 milyon Larilik altyapı projeleri ve yatırımcıya 11 milyon dolardan fazla cezanın affedilmesi gibi. Bir kez daha Anaklia projesinin uygulanmasında hiçbir engelinin olmadığını altını çizen bakan, özellikle ekonomik-teknik gerekçelerin sağlam olması ve projenin ticari açıdan cazip olmasını belirtmiştir.

ცალკეულ მიმართულებებზე და პროექტებზე საუბრისას მინისტრმა განსაკუთრებული აქცენტი ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტზე გააკეთა. მისი აღნიშვნით, აღნიშნული პროექტი უფრო მეტია ქვეყნისთვის ვიდრე უბრალოდ პორტი და მას სტრატეგიული მნიშვნელობა აკისრია. სახელმწიფო კი, საკუთარ პრიორიტეტულ მიდგომას საქმით ადასტურებს, რაც 100 მილიონი დოლარის სუბორდინირებული სესხით, 300 მილიონი ლარის მოცულობის ინფრასტრუქტურული პროექტებით და ინვესტორისადმი 11 მლნ დოლარზე მეტი პირგასამტეხლოს პატიებით გამოიხატება. მინისტრმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ანაკლიის პროექტის განხორციელებას არანაირი წინაღობა არ აქვს, მითუმეტეს რომ მისი ეკონომიკურ-ტექნიკური დასაბუთება სოლიდურია და პროექტი კომერციულად მიმზიდველია.

Bakan aynı zamanda 209 milyon Larilik bütçeye sahip olan gaz dağıtım programı hakkında da bahsetmiştir. Açıklamasına göre önümüzdeki 3 yıl içerisinde abone sayısı önemli ölçüde artacak ve Gürcü nüfusun %85'in doğal gaz erişimi olacaktır. Nüfusun geri kalan %15'i ülke için en büyük sorunlarından birini teşkil etmektedir. Bu kısmın yüksek dağlık bölgelerde yaşadığından bölgelere gaz tedarik etmek için hükümet diğer yaklaşım ve farklı teknoloji kullanımı üzerinde çalışmalar yürütmektedir.

მინისტრმა ასევე ისაუბრა ქვეყნის გაზიფიცირების პროგრამის შესახებ, რომლის ბიუჯეტის მოცულობა 209 მილიონი ლარია. მისი განმარტებით მომავალი 3 წლის განმავლობაში აბონენტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდება და საქართველოს მოსახლეობის 85%

ისარგებლებს ბუნებრივი აირით. მოსახლეობის დარჩენილი 15% კი ქვეყნის ყველაზე დიდი გამოწვევაა, რომელიც ძირითადად მაღალმთიან რეგიონებში ცხოვრობენ და აღნიშნული რეგიონების გაზიფიცირებისთვის სახელმწიფო სხვა მიდგომასა და ტექნოლოგიების გამოყენებაზე მუშაობს.

TİFLİS DELOITTE RAPORU

დელოიტის კვლევა თბილისის შესახებ

Ülke GSYİH'sının %42'sini ve toplam nüfusun %31'ini oluşturan Tiflis, ülkenin ekonomik merkezi olmaya devam etmektedir. 2017 yılında Tiflis 1.48 milyar dolar tutarında doğrudan yabancı yatırım çekmiş olup, yatırımların sektörel dağılımı;

- Ulaştırma ve Lojistik- 480 milyon dolar,
- Finansal Hizmetler (302 milyon dolar),
- İnşaat (175 milyon dolar),
- Emlak (158 milyon$),
- Enerji (137 milyon$),
- Konaklama ve gıda (62 milyon $),
- IT ve İletişim (17 milyon $),
- Maden (12 milyon dolar),
- Sağlık (8 milyon dolar),
- Tarım (5 milyon dolar),
- Diğer sektörler (120 milyon$) olarak gerçekleşmiştir.

თბილისი, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის 42%-ით და მოსახლეობის 31%-ით, კვლავ რჩება ქვეყნის ეკონომიკურ ცენტრად. 2017 წელს თბილისმა 1.48 მილიარდი დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია მოიზიდა, რომელიც შემდეგ სექტორებზე ნაწილდება:

- ტრანსპორტი და ლოგისტიკა 480 მილიონი $
- ფინანსური მომსახურება - 302 მილიონი $
- მშენებლობა - 175 მილიონი $
- უძრავი ქონება - 158 მილიონი $
- ენერგეტიკა - 137 მილიონი $
- განთავსება და კვება - 62 მილიონი $
- საინფორმაციო ტექნოლოგიები და კომუნიკაცია - 17 მილიონი $
- წიაღისეული - 12 მილიონი $
- ჯანდაცვა - 8 მილიონი $
- სოფლის მეურნეობა - 5 მილიონი $
- სხვა სექტორები - 120 მილიონი $

Tiflis'teki 2012-2017 yılları arasındaki en hızlı büyüyen sektörler:

- Emlak %23.3
- Enerji %17.2
- Konaklama ve Gıda %13.7
- İnşaat %8.2

ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორები თბილისში 2012 – 2017 წლებში:

- უძრავი ქონება23.3%
- ენერგეტიკა 17.2%
- განთავსება და კვება 13.7%
- მშენებლობა 8.2%

Tiflis'teki iş hacminin büyük çoğunluğunu (%96) özel sektör firmalarının (%62 yerel, %34 yabancı şirketler) faaliyetleri sonucu üretilirken, kamu şirketlerinin payı ise %4'tür.

İş hacimlerine göre sektörler (2017 – Tiflis; 20.3 milyar dolar toplam iş hacmi)

- Perakende ve toptan ticaret (%46)
- İnşaat (%10)
- Ulaştırma ve Lojistik (%6)
- İmalat (%6)
- Enerji (%4)
- İlaç (%2)
- Konaklama ve Gıda (%2)
- Diğer sektörler (%24)

თბილისში წარმოებული ბიზნეს საქმიანობის უდიდესი ნაწილი 96% კერძო სექტორზე მოდის, რომელთაგანაც 62% ადგილობრივი, ხოლო 34% უცხოური წარმოშობისაა. ბიზნეს საქმიანობის 4% კი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე მოდის.

ბიზნეს საქმიანობათა მოცულობა სექტორების მიხედვით (2017 წ 20.3 მილიარდი $).

- საცალო და საბითუმო ვაჭრობა 46%
- მშენებლობა 10%
- ტრანსპორტი და ლოგისტიკა 6%
- წარმოება 6%
- ენერგეტიკა 4%
- მედიკამენტები 2%
- განთავსება და კვება 2%
- სხვა სექტორები 24%

Tiflis Şehrine ait Diğer Ekonomik Veriler:

Kişi başı düşen milli gelir – 5.468 $. Yüzölçümü – 503 kilometrekare. Nüfus 1.158.677. KWh başı elektrik fiyatı – 0.07$. Ortalama aylık ofis fiyatı – 16$. Tek odalı daire ortalama aylık fiyatı – 227$. Ortalama aylık ücret – 465 $.

Deloitte tarafından yapılan araştırmada turizm, perakende, sağlık, ilaç ve yenilikçi sanayi (film, reklam, vd.) alanlarında şehirde yatırım fırsatları olduğu tespit edilmiştir. Deloitte raporu ekte bilgilerinize sunulmuştur.

თბილისის სხვა ეკონომიკური მაჩვენებლები:

შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე - 5 468 $. ფართობი - 503 კმ². მოსახლეობა - 1 158 977. კვ/სთ ელექტრო ენერგიის ფასი - 0.07$. საშუალო თვიური ოფისის ქირა - 16$. ერთ ოთახიანი ბინის საშუალო თვიური ფასი - 227$. საშუალო თვიური ხელფასი - 465$.

დელოიტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად ტურიზმის, საცალო ვაჭრობის, ჯანდაცვის, მედიკამენტების და ინოვაციურ სექტორებში ქ. თბილისში საინვესტიციო შესაძლებლობები დადასტურდა. თანდართული ფაილის სახით შეგიძლიათ იხილოთ დელოიტის კვლევა.

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი (14.06.2019)

USD/GEL – 2.7389 TRY/GEL – 0.4687 EUR/GEL – 3.0914 GBP/GEL – 3.4716

USD/GEL

7 – 14 Haziran 2019

USD/TRY

7 – 14 Haziran 2019

TRY/GEL

7 – 14 Haziran 2019

Uluslararası Reyting საერთაშორისო რეიტინგი	
İş Yapma Kolaylığı ბიზნესის კეთების სიმარტივე	№ 6
İş Başlama Kolaylığı ბიზნესის დაწყების სიმარტივე	№ 2
Kredi Alma Kolaylığı სესხის აღების სიმარტივე	№ 12
Küçük Yatırımcıların Koruması მცირე ინვესტორთა დაცულობა	№ 2
İnşaat İzinleri İle Mücadele სამშენებლო ნებართვის სიმარტივე	№ 27
Ekonomik Özgürlük Endeksi ეკონომიკური თავისუფლების ინდ.	№ 16
Rekabet Edebilirlik Endeksi კონკურენტუნარიანობის ინდექსი	№ 66